№ 206 1 ქრისტეშობისთვე, ხუთშაბათი 1866—1877 1 ქრისტეშობისთვე, ხუთშაბათი № 206

რედაქცია: სოლოლაკზე, ბელის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

კანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

უოველ დღე ოროშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: ერთ ვერსებით ასოზე—1 კაპ., ორ-მეტ ვერსებ. სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

მომავალ 1878 წელს გაზეთი

„დროება“

გამოვა იმგვარივე პროგრამით და მიმართულებით, როგორც დღემდინ გამოდიოდა ხოლმე.

ამ უკანასკნელი ნახევარი წლის გამოცდილებამ დაგვარწმუნა ჩვენ, რომ ყოველ-დღიური გაზეთი ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და ამიტომ

მომავალ წელსაც „დროება“ მუდამ დღე გამოვა,

გარდა ოროშაბათისა და უქმეების შემდეგ დღეებისა.

ხელის-მოწერა

თ ფ ი ლ ი ს შ ი—„მიიღება დროების“ რედაქციის კანტორაში, სტ. მელიქიშვილის სტამბაში (ბანოვის ქუჩაზე, ამატუნის სახლებში).

ბ ა რ ე შ ე მ ც ხ ო ვ რ ე ბ თ ა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ Редакцію „Дроэба“.*

ფასი გაზეთისა

მთელის წლისა	8 მან.	— „ კაპ.
ექვსის თვისა	4 „	50 „
ოთხის თვისა	3 „	— „

მხოლოთ ამ ვადებით შეიძლება მომავალის წლიდამ გაზეთის დაბარება.

უმორჩილესი თხოვნა ხელის-მომწერლებსა და აგენტებს: **ხვედრი ფული გაზეთისა იმის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს გამოგზავნილი;** თუ არ თავის აგენტის საშუალებით, ისე რედაქცია **უ ფ უ ლ ო თ გ ა ზ ე თ ს ა რ ა ვ ი ს ა რ გ ა უ გ ზ ა ვ ნ ი ს.**

ტელეგრამმები

პარიჟი, 28 ნოემბერს. სენატის თავმჯდომარეს ოლიფრე-პაკიეს დღეს დილით დიუფორთან ჰქონდა მოლაპარაკება ახალი სამინისტროს შედგენის თაობაზე. შემდეგ ოლიფრე-პაკიე წავიდა მაკმაჰონთან, რომელმანც, სხვათა შორის, უთხრა, რომ ის არ გადადგება თავის ნათქვამ გადაწყვეტილებაზე და ახალი სამინისტრო შედგენილი იქნებაო.

ოსმის ამბები

აზიის ბრძოლის ველიდამ

ფრანცუზულს გაზეთს „Le Temps“-ში დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა, რომელიც ამ გაზეთს თავის არზრუმელ კორრესპონდენტისაგან მიუღია 15 ნოემბერს:

„რუსების ჯარი ისევ იქვე დგას (დეევე-ბოინზე), სიდაც ადრე იდგა. ამ დღეებში ახალი ჯარები მოუვიდათ ამათ ბაიაზეთიდამ და ეს ჯარი იმათ ზეიდა-ქიანსა და ყირი-ქილისს შუა დააყენეს. მხოლოთ რამდენიმე პოლკი რუსის აქაურ ატრიადისა შვიდ ვერსის სიშორეზედ არის გაჩერებული არზრუმიდამ.

ამ ჟამად აქ დიდი თოვლია და საშინელი სიცივეები; ამის გამო, ამბობენ, რომ ერთი ნაწილი აქაური რუსის ჯარისა ისევ უკან მიდისო და ვინც რჩებიან, ისიც ახლო-მახლო სოფლებში დგებიან, რომ როგორმე გადაურჩენ ამ სიცივეს, რომელიც იმათ, უეჭველია, დიდ ზარალს უნდა აძლევდეს.“

—

უცხო ქვეყნის გაზეთებში (სხვათა შორის ინგლისურს „Daily News“-ში) მოყვანილია შემდეგი დეპეშა 20 ნოემბერს სტამბოლიდამ მიღებული:

„ამ დღეებში ბაღდადიდამ, დიარბეკირიდამა და ალეპოდამ 60,000 კაცი ქვეითა ჯარი და 20,000 ცხენოსანი იგზავნება მცირე აზიის ბრძოლის ველისაკენ არზრუმის მისაშველებლად.“

უეჭველია, რომ ეს რიცხვი ერთობ გაზვიადებული უნდა იყვეს; ამის ნახევარიც რომ გამოგზავნონ ოსმალებმა ამ ჟამად არზრუმისაკენ, ამ ქალაქის დასაცველად ამ ზამთარში ისიც კმარა...

—

ერთს ნემენცურს გაზეთში („Presse“-ში) შემდეგ ამბავს იწერებიან სტამბოლიდამ 18 ნოემბერს:

„ბუშინ სალამოს აქაურ სამხედრო სამინისტროში იყო მინისტრების კრება, რომელზედაც ჰქონდათ სჯა ბენგრიის ღენერლის ძლაპკას წინადადებაზე. ძლაპკა ურჩევდა ოსმალეთის მმართველობასა, რომ, რადგან ვერც არზრუმსა და ვერც პლევნოს ვერ დაიცვენ დიდ-ხანს იქ გაჩერებული ჯარები, რადგან რუსები იმათ გარს ახვევია და ძალით რომ აიღონ ეს ქალაქები, უფრო მომეტებულ ზარალს მოუტანენ ოსმალოს სამხედრო საქმესაო, ამიტომ ყველას ის უმჯობინებაო, რომ ოსმალოს ჯარებმა დაცალონ ეს ქალაქები და ნებით დაუთმონ მტერსაო.

„თითქმის ყველა მინისტრები და თვითონ ხონთქარიც დათანხმდნენ ამ წინადადებაზე—პლევნოს შესახებ; და იმ წამსვე აცნობეს ოსმან-ფაშას, რომ რათაც უნდა დაჯდომოდა, ეცადა რუს-რუმინების ჯარის გაპობა და პლევნოდამ გამოსვლა.

„რაც შეეხება არზრუმს, ამაზე კი არც მინისტრები დაეთანხმნენ ღენ. ძლაპკასა და არც ხონთქარი, რადგან იმედი აქვთ, რომ ახლად-გაგზავნილი და გასაგზავნი ჯარები იმდენ ძალას მისცემენ მუხთარ-ფაშას, რომ ამ ზამთარში მაინც არ დაუთმობს ის მტერს ამ სომხეთის დედა-ქალაქსა.“

—

სტამბოლში გამოვიდა ხონთქრის ბრძანება, რომლის ძალითაც ყველა იმ აფიცრებისა და სალდათის ცოლ-შვილს და ჭირის-უფლებს, რომელთაც პატრონები ომში დაეხოცებათ ან მტერი ტყვედ აიყვანს, მუდამ თვე გადაჭრილი პენსია უნდა მისცენ ხაზინიდამ.

ევროპის ბრძოლის ველიდამ

უმთავრესი და უშესანიშნავესი ახალი ამბავი ევროპის ბრძოლის ველიდამ ამ ჟამად პლევნოს აღება და ოსმალეთის საუკეთესო სარდლის ოსმან-ფაშისა და იმის არმიის ტყვედ აყვანა არის.

როგორც გუშინდელს ნომერში ვსთქვით, რუსის არმიის ბალკანის მთებზე გადასვლას და ადრიანოპოლზე მი-

დგომას ახლა ვერა დააბრკოლებს-რა, თუ მორიგებაზე არ დაიწყეს მოლაპარაკება.

უეჭველია, რომ მეჰმედ-ალი-ფაშა, რომელსაც, როგორც ამბობენ, სოფიასთან 50,000 კაცამდინ ჰყავდა მოგროვილი იმ განზრახვით, რომ პლევნოს მიშველებოდა, რადგან პლევნოს დახმარება აღარ შეიძლება, იძულებული იქნება ბალკანის მეორე მხარეზე იმოქმედოს, სოფია და ადრიანოპოლი დაიცვას მტრისაგან.

სულეიმან-ფაშა კი სამხრეთ ბოლგარიაში დარჩება იმ განზრახვით, რომ აქ შეაჩეროს რუსის არმია; საფიქრებელია, რომ ის თავის არმიით შევა ციხეებში: შუმლაში, რაზგრადში, სილისტრიაში, რუშჩუკში, შეუერთდება ამ ციხეებში მყოფ გარნიზონებს და აქ დარჩება ამ ზამთრის განმავალობაში. ამის წინააღმდეგ სამხრეთ ბოლგარიაში იქნება დ. მ. მემკვიდრის არმია, რომელიც ზემოხსენებულ ციხე-ქალაქებს მიადგება და ამ ზამთარში იმათ აღებას შეუდგება, თუ, კიდევ ვიმეორებთ, მანამ მორიგება არ მოხდა.

—

ნემეცურს გაზეთს „Politische Correspondenz"-ში იწერებიან შიპკიდამ:

„ამ ნოემბრის დამდეგიდამ აქ თითქმის მუდამ დღე-გამოშვებით საშინელი სროლა ტყდება. 9 ნოემბერს, სხვათა შორის, დილიდამვე ატეხეს რუსებმა საშინელი სროლა ზარბაზნისა. ოსმალოებიც თავის მხრით, რასაკვირველია, პასუხს აძლევდნენ.

„ნასადილევის მეოთხე საათზე ოსმალოს ერთი ატრიადის უფროსმა ვესსილ-ფაშამ ეშმაკობა მოიხმარა: იმან უბრძანა თავის ჯარს, რომ იყვირონ ისე, თითქო მტერზედ იერიშით მისვლას აპირებდნენ. ჯარმა მართლაც გაცხარებით შეჰქნა ყვირილი: „ალაჰ! „ალაჰ!" რუსებს ეგონათ, რომ ეს არის მოვიდნენო და საჩქაროთ გაგზავნეს კაცი თავის მეორე ატრიადთან, რომელიც შიპკის მარცხნივ იყო დაბანაკებული, რომ მოგვეშველეთო. ისინი გამოიქცნენ; ამათ იმ ალაგას უნდა გამოევლოთ, საცა ოსმალოების ზარბაზნები დასჩერებია. ბაიოიარეს თუ არა, ოსმალოს ჯარმა, რომელსაც, რასაკვირველია, თავის პოზიციიდამ ფეხიც არ მოუცვლია, საშინლად დაუშინა იმათ ზარბაზნები და ამ ეშმაკობით დაამარცხა მტერი და დიდი ზარალით უკან გააბრუნა."

—

ადრიანოპოლის ღუბერნატორად, როგორც სტამბოლის გაზეთები გვაცნობებენ, ოსმალეთის მთავრობას ჯემილ-ფაშა დაუნიშნავს. ადრინდელი ღუბერნატორი ადრიანოპოლისა აჰმედ-ვეფიკ-ფაშა სტამბოლში გამოუხმიათ იმ განზრახვით, რომ ის ნაციონალური პრების თავს-მჯდომარედ უნდა დანიშნონ.

—

ძანდიის კუნძულზე ხალხი აჯანყებულა; განზრახვა აქვთ, რომ ოსმალეთის ქვეშევრდომობისაგან განთავისუფლდნენ და საბერძნეთს შეუერთდნენ. ოსმალეთის მთავრობას ამათ დასამშვიდებლად 3,600 კაცი ტუნისის ჯარი გაუგზავნია.

საქართველო

დღიური

*** დღეს, 30 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, ჩვენს ქალაქში მობრძანდა მ. ი. უ. დ. მ. კავკასიის ნამესტნიკი. ქალაქი ღირსეულად დაუხვდა ბრძოლის ველიდამ დაბრუნებულს დიდ მთავარს. ყველა ქუჩები, საცა კი დიდ მთავარს უნდა გამოევლო, გაჩირაღდნებული იყო ფერად-ფერადის ფანრებითა და სანთლებით, მაღაზიებისა და სახლების ფანჯრებზე და ბალკონზე გამოფენილი იყო აჭრელებული ბაირაღები, შალები, ხალიჩები და სხვ. ქუჩებში უანგარიშო ხალხი. ურას ყვირილი, ზურნა და სხვ. და სხვ.

ქალაქის ამქარი თავის უსტაბაშით სოლოლაკს შეეგება დიდ მთავარს და იქიდამ ცხენით მოჰყვნენ სასახლემდინ.

დამოქნესთან გამართული იყო ტრიუმფის კარები, ყვავილებით, ფანრებითა და სხვა-და-სხვა ზედწარწერებით შემკობილი. აქვე დაუხვდა დიდ მთავარს ქალაქის თავი უფ. დ. ი. ყიფიანი ქალაქის წარმომადგენლებითა და შემდეგი შესხმა მოახსენა იმას:

„თქვენო იმპერატორებით უმაღლესობავ!

„თქვენ, ხელმწიფეო, და თქვენმა უავგუსტოესმა ძმამ დ. მ. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ მტერზედ გამარჯვებით შეიმკეთ თავი დაუჭკნობელის დიდებითა; თქვენ გაახარეთ ხელმწიფე იმპერატორი და მთელი რუსეთი; აღამაღლეთ დიდება რუსის მხედრობისა და ჩვენში, ქალაქის წარმომადგენლებში და ყველა მცხოვრებლებში აღძერით ისეთი აღტაცება, რომელიც სიტყვით არ გამოითქმის, არამედ მარტო ერთის დაძახილით: ურა!"

*** პლევნოს აღების გამო, გუშინ 29 ნოემბერს საღამოს ჩვენი ქალაქის ზოგიერთი მაღაზიები გაჩაღებული იყო ფერად-ფერადი ქაღალდის ფანრებითა და სანთლებით; ალექსანდროვის ბაღში მუზიკა უკრავდა.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ აქაურს ბარაკებში მყოფი დატყვევებული ოსმალოს სალდათები ძალიან ბევრი იხოცებიან თურმე; ისე დღე არ გაივლისო, რომ 10—15 კაცი არ მოკვდესო. ძალიან ბევრი იხოცება თურმე გზაზედ, ბუმბრიდამ თფილისამდინ.

*** გასულ კვირას გაიხსნა პირველად ჩვენი საზამთრო ცირკი უფ. ჟერარისა. მომეტებული ნაწილი მოთამაშეთა ისევ ისინივე არიან, რომელნიც ამ ზაფხულს იყვნენ. ახლებში ყველაზე უფრო მომეტებული ყურადღება მაყურებლებისა დაიმსახურა გიმნასტიორმა ლოპესმა, რომელიც მართლა გასაკვირველის სიმარჯვით ვარჯიშობს ცხენზე და თოკზე; ამასგარდა საზოგადოებას აკვირვებს „კაცთევზა" უფ. ჩარლს ჯონსონი, რომელიც ჩადის წყალში და იქ სჭამს, სვამს, სწერს, ჰკითხულობს, პაპიროზს სწევს და ამნაირად უკანასკნელი სამი-ოთხი მინუტი რჩება იქ.

თვითონ ცირკი თუმცა გვარიანად არის მოწყობილი; მაგრამ ზამთრის ცირკობა არ ეტყობა, რადგან საშინლად ცივა და ამის გამო ხალხი პალტოთი და ქუდებით შედის ...

*** ჩვენი ოფიციალური გაზეთი „კავკაზი" გვაცნობებს, ნამდვილად შევიტყეთო, რომ მთელს დაღესტანში ამ ჟამად სრული მშვიდობიანობა არის დამყარებულიო და ჩვენმა ჯარებმა დაიჭირეს იქაურ ხალხის აჯანყების მოთავენიო.

ამ საგნისავე შესახებ პეტერბურღის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი შენიშვნა ვლადიკავკაზიდამ მიღებული:

„ამას წინათ გაცნობეთ, რომ ჩვენმა ჯარებმა დაიჭირეს აჯანყებულ ჩეჩნების მოთავენი უმა-დუევი და იმის შვილი; სასტიკად დასაჯა ესენი ჩვენმა მთავრობამ; ამბობენ, რომ ამათს ასე დასჯას შემდეგისათვის დიდი გავლენა ექმნება ხალხზედაო. მოუთმენლად მოელიან აქ ალი-ბეკის დაჭერას, რომელიც ყველა აჯანყებულების მთავარი ბელადია და გამხნევებელი.

*** სამეგრელოდამ გვატყობინებენ, რომ წლევანდელისთანა, კარგი მოსავალი სიმინდისა და საზოგადოთ ნამუშევრისა დიდი ხანია არ ნახულაო. თუმცა ამ ომიანობამ გაიტყუილა ხალხი და მუშა-ხელი ცოტა დარჩაო, მაგრამ სიმინდი მაინც იმდენი მოვიდაო, რომ მარტო სამეგრელოს შეუძლიაო უკანასკნელი ერთი მილიონი ფუთი გაჰყიდოსო.

უეჭველია, რომ ამ ნამუშევრის გაიაფებას უნდა მოველოდეთ ჩვენში, რადგან წინა წლებში რაც მომეტებული სიმინდი რჩებოდა სამეგრელოში, თითქმის სულ სამზღვარ გარეთ (უფრო ინგლისში) გაჰქონდათ ხომალდებით და ახლა კი ზღვის გზა შეკრულია ამ ომიანობის გამო და მთელი სიმინდი აქვე დარჩება.

*** კარგ მოსავალს პურისას იწერებიან აგრეთვე ერევნიდამაც, ასე რომ ამბობენ წლევანდელი პური, თუ არ გაჰყიდა ხალხმა, ორ წელიწადს ეყოფა ამ გუბერნიასაო.

*** მოგვეხსენებათ, რომ თფილისში და

ერევანში შესდგა საზოგადოება ოსმალეთიდამ გადმოსახლებულ სომხების დასახმარებელად; ბაქოს გაზეთში იწერებიან ახლა, რომ ერთი ამისთანა საზოგადოება იქაურ სომხებსაც შეუდგენიათ.

* * * გამოჩენილის ავაზაკის გიორგი მიქელაძის დასაჭერად სოფ. კულაშში გაგზავნილი ყოფილა უფ. სამტრედიის პრისტავი გ. ქ — ის, რომელსაც თან 50 კაცი ჰყოლია. წინათვე, რასაკვირველია, შეტყობილი ჰქონიათ, თუ სად და ვისთან იმყოფებოდა ეს მიქელაძე. ჩუმათ მიპარვიან იმ სახლს და გარშემო შემოსაფრებიან. დაუძახნიათ: „დაგვნებდი, თორემ არ დაგზოგავთო!“ მიქელაძეს, აბა რაღა თქმა უნდა, პასუხის მაგიერად წაუვლია ხელი თავის ბერდანის თოფისათვის და რამდონიმეჯერ დაუცლია; შემდეგ ექვსჯერ დაუცლია რევოლვერი. მაგრამ, ვერც ერთი ვერ დაუჭრია. ბოლოს აუღია ნაბადი, გაუკეთებია ისე, თითქო იმაში კაცი არის გახვეულიო, და ამნაირად გაუგდია ფანჯარაში იმ ჰაზრით, რომ ყველანი იქითკენ გაიქცეოდნენ. მართლაც, რამდონიმე კაცი გაქცეულა იქით; მაგრამ, როცა თვითონ კარები გაუღია და გამოვარდნილა ოცზე მეტი დახვედრია იქ, უტაცნიათ ხელი და დაუჭერავთ...

დაჭერის რამდონიმე დღის წინათ ამ მიქელაძეს მოკლა, როგორც ამბობენ, ერთი ვილაც მეგრელი ვაჭარი, რომელსაც ოთხასი თუმანი ამოაცალა ჯიბიდამო.

„დროების“ კორრესპონდენცია

ოზურგეთი, 23 ნოემბერს. თუმცა ადრეც გამეგონა დავიცოდი რაოდენიმე მოქმედება ჩვენი უეზდის დოქტორის უ. ზალევსკისა, მაგრამ დღეს უფრო დავრწმუნდი იმაში, რასაც იმაზედ ამბობდნენ, რადგან ფაქტებიც ვნახე. დიდათ ვსწუხვარ, რომ ჩვენი უეზდი დოქტორისა და უეზდის უფროსისაგან ასე უნუგეშოა.

ამა მდგომარეს წელს რომ ოზურგეთის უეზდში სხვა-და-სხვა სნეულება იყო კაცისა და პირუტყვისა, ახლა უკეთ გამოჩნდა ამათი თაოსნობა და მოქმედება.

ჩვენს უეზდში ითვლება 26 სოფლის საზოგადოება. ავიღოთ ორი-სამი საზოგადოება: სოფელს ამაღლებას 250 სული მოკვდა, ზემოხიდის საზოგადოებაში—115 სული, მერკეთის საზოგადოებაში-53. რომ ერთი-მეორეზედ ვსთქვათ თითოეულს საზოგადოებაშიდ 50 სულზედ უმეტესი იქნებიან მკვდარნი.

ყურადღება რომ მიექციათ, არწმუნებული ვარ, ამ 1,300 სულისაგან ორი წილი მაინც გადარჩებოდა. მთელი წელიწადი მიდის, რომ უ. ჩვენი დოქტორი ოთხის მეტათ უეზდში არ ყოფილა და ესეც აი რისთვის: ერთხელ კაცი დაახრჩეს, მეორედ ერთი მეგრელი მოკლეს, მესამეჯერ გლეხმაც ავათმყოფობის მიზეზით საშვილოსნო ასო გაიჭრა, ამით მოკვდა; ესენი შეამოწმა, და მეოთხედ შერიგებულნი ქობულეთლები, ამ ჟამად მცხოვრებნი სოფ. ბაილეთს, ავათ იყვნენ, ერთიც იმათ სანახავად გაგზავნეს.

აი, ამ ოთხჯერ მგზავრობისათვის ითვლება ის უეზდის დოქტორად და ჯამაგირიც ეძლევა!

მოგეხსენებათ, ყველა კაცს დოქტორის წაყვანის შეძლება არა აქვს; სთხოვდენ, ფელშარი გაგვატანეო. მაგრამ ყველას ეტყოდა—სახელმწიფო საქმეები არის და არ სცალიანო!

ერთხელ უმცროსმა ფელშარმა გზის ფული (პრაგონი) მოსთხოვა, არ მისცა; მეორეთ რომ მოსთხოვა, არც მაშინ მისცა და სამსახურისაგანაც დაითხოვა!

ძალიან ხშირად გაათენებს და დაალამებს ჩვენი დოქტორი უეზდის უფროსთან კარტის თამაშით. გამოვა და იტყვის: ამა-და-ამ სოფლის საზოგადოებაში ვიყავი, ესა და ეს მოვარჩინე ან ეს განკარგულება მოვახდინეო!

დასამტკიცებლად ჩემის სიტყვების სიმართლისა, კანტროლის პალატამ მოითხოვოს ანგარიში—თუ რამდენი მოგზაურობის პრაგონი მიუღია ჩვენს დოქტორს ან ფელშრის ათვის რამდენი მიუცია. მაშინ როდესაც ოთხის მეტი არ უმგზავრია, მას ორმოცის მოგზაურობისაც ექნება მიღებული და ფერშლის პრაგონი რამდენი კიდევ—ვინ იცის.

გამაძღარი მგელი საქონელს არ ერჩის; ისრე არის ჩვენი დოქტორიც: ფული ბევრი აქვს და ყურადღებას აღარ აძლევს...

ნეტავი მომთხოვდეს ამაზედ პასუხს, რომ თითოეულად აუხსნა მისი კეთილკაცობა, უეზდის შემწეობა და მზრუნველობა.

ღმერთმა იცოდეს, არც დამჭივრებია, არც ვნება მოუცია იმას ჩემთვის, მაგრამ უეზდის ჯანმთელობისათვის დაუნიშნავს მმართებლობას, ფულს იღებს, და ვსწუხვარ უეზდის უნუგეშობას.

უფალს უეზდის უფროსსაც ემდურიან, რადგან მოუცლელი არის უეზდს ყურადღება მიაქციოს, დოქტორსაც რამე უთხრას, გზებს, ქალაქის ქუჩებს, ვაჭრებს მიხედოს. მაგრამ არც ის ზრუნავს, გარდა იმისა რომ ფული! ფული! დღე-დალამე სულ ფული! ვაჭრობა და ალებმიცემა! რომ სთქვას კაცმა, ესეც ბევრი საქმე არის, და უეზდის უწყისოფებას სადღა უყუროს, რომ დრო არა აქვს...

გურული

წერილი რედაქტორთან

არა-ერთხელ ყოფილა დაწერილი ქალაქის ჯიბგირებზე ამ ჩვენ პაწაწა „დროების“ ფურცლებზე; მაგრამ, რადგანაც მეტათ საინტერესო ოინობა მოხდა გუშინ ამ ჩვენ დედა-ქალაქში ერთის ჯიბგირის მიერ, მოვიყვან ამ საქმეს თავიდამ ბოლომდე, რომ რა არი მით უფრო უკეთ გაიგოს მკითხველმა საზოგადოებამ—თუ რა საქმეებს სჩადიან ამ ქალაქში ეს წყეული ჯიბის ოსტატები, თუმცა კი ყოველმა ჩვენგანმა დიდი ხანია იცის ამ ჯიბგირების ვარჯიშობა და ოინ-ოლყაბაზობა.

გუშინ ჩამოსულა ქალაქში ერთი გლეხი, რომელსაც წვითა და დაგვით ეშოვნა ორიოდე გროში და წამოეღო ქალაქში რამე-რუმეს სასყიდლათ.

ქალაქის პირში მოსვლისათანავე შეხვედრია ერთი ჯიბგირი, რომელსაც კარგი, მშვენიერი სამეფო შალვარი ჰქონია და უთქვამს:

—გამარჯობა ძმაო! სადაური ხარ?, განჯელი ხომ არა ხარ?

—არა, ძმაო, სოფლელი ვარ!—უთხრა გლეხმა.

—ჰო, მეშინოდა, ვაი თუ განჯელი იყო და შენი თავიც დაჰღუპო და ჩემიც. აი, ჩემო ძმაო, ერთი კარგი შალვარი მაქვს, მოვიპარე განჯაში და მეშინიან აქაურ კაცს ვერ მივყიდი, რადგანაც აქ ბევრი განჯელები არიან და იქნება იცნონ და დავიღუპები.

თუმც გლეხს უარი უთქვამს, ღმერთმა დამიფაროს ნაქურდალისგანაო, მაგრამ ჯიბგირის თვალთ-მაქცურ ოინს მაინც გაუჭრია.

—არა, ძმაოჯან, შენ რაკი სოფლელი ხარ, რა გიჭირს,—სოფელში წახვალ და ვერავინაც ვერ გაგიგებს. ძალიან იაფათ მოგცემ—ორ მანეთათ (თან შალვარს აჩვენებს).

გლეხი, რასაკვირველია, შესცდა, აიღო და მისცა ჯიბის ოსტატს და როცა გამობრუნდა, სიხარულით ფეხს ვერ აკარებდა დედამიწაზე. ჯიბგირმა გამოისტუმრა ამ ნაირი სიტყვებით:—ღმერთმა მოგახმაროს, ძმაო; წადი რაც შეიძლება ჩქარა, არავინ არ გაგიგოს. შენი თავიც არ დაღუპო და ჩემიც!

წამოვიდა გლეხი; თამამშოვის ქარვასლას მიუახლოვდა და იფიქრა, მოდი ერთი გავშინჯამ როგორი შალვარიაო! ამოიღო პარკიდამ და ნახა, რომ ერთი

უშველებელი ძონძ-მანძი კია, რომელიც იმ შეჩვენებულს ჯიბგირს ქუჩაში მოეკრიფნა!..

ეცა ელდა ამ ღვთისაგან და კაცისგან უმოწყალეო. გლეხს და ბევრი იცა თავში და მუხლებში ხელი; მაგრამ რას გააწყობდა! თურმე იმ წყეულ კინტოს, მინამ ის გლეხი ფულს ამოიღებდა თავის ქისიდამ, უთქვამ: მოიტა ჩქარა პარკი, არავინ დაგვინახოს! გამოურთმევია პარკი და შალვარის მაგიერ რაღაც მჩვრები, ისიც დამპალები, ჩაუდვია შიგ, მიუცია და თან უთქვამს: ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს; აბა, ჩქარა წადი რაც შეიძლოეთ!

მოვიდა თურმე უბედური გლეხი სახლში თავის შვილთან, შეჭჩიელა მას თავის გარდასავალი. თქვენი ჭირიმეთ, ეს რა მომმოვიდა! ორიოდე გროში ძლიეს ვაიეაგლახით და აინაჩრობით შევკრიბე და ეს მოვიღა ჩემ თავსაო?!

მეორე დღეს გლეხი გულდამწვარი და ხელცარიელი წავიდა შინ და ეღარც არაფერი იყიდა.

როგორ მოგწონთ ამისთანა ჯიბგირების საქციელი? რაღა ამ ჯიბგირების შეწუხება უნდა ამ ბეჩავ გლეხობას, უიმისოთაც შევიწროებულს და შეწუხებულს!? — სოფელში ალექოების მსგავსებს ვერ ემალებიან, ქალაქში ჩამოვლენ და ამ ჯიბგირებს!

ეს საქმე ყურადღების ღირსია და ადრე თუ გვიან ერთი რამ საშუალება უნდა გამოიგონოს, ვისიც ჯერ არს, რომ ძირიან-ფესვიანათ მოსპონ ეს საძაგელი სენი.

ქირილე ლებრიშვილი

29 გიორგობისთვეს

თფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათიდან.

ორშაბათს: ექიმი მინკევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

სამშაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი — თვალის ექიმი.

ოთხშაბათს: ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფ., ძიუჩარიანცი — ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ხუთშაბათს: ვერმიშევი — შინაგან ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცევი და ასატუროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის და მინკევიჩი — ხირურგიულისთვის.

შაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფ., ძიუჩარიანცი — ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და თამამშევი — თვალის ავათმყოფობისა.

განცხადებანი

ჩაის მაღაზია

პ. ვ. პოპოვისა,

რომელიც იმყოფებოდა ბალავინის პროსპექტზე, შიოევის სახლებში, ამ ჟამად გადატანილია ერევნის მაედანზე, ტერასატუროვის სახლებში. პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც კარგი, სუნნოვანი ჩაი ნებავს, მომართოს პირ-და-პირ ჩემთან.

თფილისის მეორე გილდიის ვაჭარი
რაჭდენ ბედინიძე

მასწავლებელს ქალს ჰსურს აიყვანოს უმაწვილები მოსამზადებელად პირველის და მეორის კლასისათვის.

ადრესი: მთაწმინდის ქუჩა, საბინ--ბუსიის სახლებში, № 13.

ბრიქოროვის წიგნის მაღაზიაში, ქუკიის ხიდთან, ზუბალოვის სახლში, ისყიდება იბავნი კრილოვისა, თარგმნილი ქართულად თ. მიხ. გებუთოვისაგან.

ამ დღეებში გამოვა

ნ. ნიკოლაძის ნაწერი

პირველი წიგნი

შინაარსი: წინასიტყვაობა.—რასაც დასთეს—იმას მოიმკი.—რედაქციისაგან.—ძველი მეგობრები ახალ კაბში.—ატტილის საქმე.—ომის გაელენა ევროპაზე—ომის სადღეგრძელო.—ქართული ხასიათი რუსულ წარმოდგენაში.—ჩემ მკითხველს.—ნიკო ინაშვილის სიკვდილზე.—ბავშვების მოვლა მადაგასკარზე.—ცოლ-ქმრობით ვაჭრობა.—შელტონისტის გოდება.

პირველი წიგნი შეადგენს პატარა ტომს 222 გვერდისას, in 16-°. ფასი ორი აბაზი.

თფილისში იყიდება უფ. ბრიქუროვის (Кавказская книжная торговля) და ვართანოვის წიგნების მაღაზიებში, ხიდთან. ქუთაისში — ს. ჩომახიძესთან, სტამბაში.

ქალაქის გარეშე მცხოვრებმა ამ ადრესზე უნდა მიიქცენ: Въ Тифлисъ, въ Кавказскую книжную торговлю, у Михайловскаго моста, въ домѣ А. Зубалова.

(3—2).

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ:	მ.	კაპ
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე, კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ. — პარასკ. და ორშ. ახალციხეს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ
და სამზღვარ გარეთ:	
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

პეტერბურგი, 26 გიორ.	მან.	კაპ
ერთი ინგლისური ლირს:		
ლონდონში 24 პენსი.	—	78
პარიჟში 252 სანტიმი.	—	62
ესკონტი (სარგებლისფასი)	7½	—
ბანკის ბილეთი 5%	95	50
მოგებიანი (პირველისხარ.)	221	25
მოგებიანი (მეორე სესხი)	215	50
ბირაოს ფურცლები:		
ოფილ. ბანკ.	—	—
ხერსონის ბანკის (5½)	85	25
მოსკოვის (5%). . .	85	50
აქციები:		
ოდესის საკრედიტო ბანკის	177	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	527	—
ტაგანროგ. ბანკ.	225	—
ვოლგა-კამის ბანკ.	745	50
პეტერბ. საზღვაო. ბანკ.	235	50
მოსკოვის საზღვაო. ბანკ.	268	—

ბაზანდა

თფილისი, 29 გიორგობ	მან	კაპ
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ.	2	—
ფქვილი წითელი . .	1	80
ქერი ფუთი . . .	1	40
ბამბა ერევნისა, ფუთი .	8	20
— ამერიკისა, ფუთი . .	8	50
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	9	50
მატული თუშური ფუთ.	7	—
— თარაქამისა ფუთ. .	3	50
აბრეშუმი ნუხური სტ.	3	—
ქონი, ფუთი. . .	6	80
ქონის სანთელი ფუთი.	10	—
სტეარინის სანთელი, ფ.	15	60
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	60
— ცხვრისა, ლიტრა .	—	60
სპირტი, გრადუსი .	—	12
შაქარი, ბროც. ფუთი .	10	—
— ფხვნილი ფუთი . .	8	—
ყავა გრგვალი, ფუთი .	28	—
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	13	—
ოქრო ½ იმპერიალი. .	8	18

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 Декабря 1877 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.